ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20-93

2014 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,რ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 64-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს:

ა) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესი'' (დანართი 1);

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის ზონები (დანართი2).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქ. თბილისის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2012 წლის 27 აპრილის №4-17 გადაწყვეტილება.

3. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

დანართი №1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დანართი №2-ის შესაბამისად დადგენილ ზონებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის (შემდგომში – პირუტყვი) ყოფნის წესებს და ამ წესების დარღვევისას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მოქმედების სფეროს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 13 სექტემბრის დადგენილება №24-65 - ვებგვერდი, 14.09.2016 წ.

მუხლი 2. წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის დასაშვები ზონა

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასაშვებია პირუტყვის ყოფნა, გარდა დანართი №2-ით დამტკიცებულ რუკაზე წითელი ფერით მონიშნული ტერიტორიისა.

2. პირუტყვის ყოფნისთვის აკრძალვის ზონა მოიცავს წითელი ფერით მონიშნულ ზონას და მის მომიჯნავე ტერიტორიას 20 მეტრის რადიუსით.

მუხლი 3. პასუხისმგებლობა ამ წესის დარღვევისთვის

1. პასუხისმგებლობა ამ წესის დარღვევისთვის განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად.

2. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი პირუტყვი მესაკუთრეს/მფლობელს დაუბრუნდება მხოლოდ სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების დამადასტურებელი

დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის შემდეგ.

3. სპეციალურ ადგილზე პირუტყვის გადაყვანის და დღიური მოვლა-პატრონობის ხარჯი შეადგენს:

ა) გადაყვანა სპეციალურ ადგილზე – 100 ლარს;

ბ) დღიური მოვლა-პატრონობა:

ბ.ა) მსხვილფეხა პირუტყვის – 15 ლარს;

ბ.ბ) წვრილფეხა პირუტყვის – 10 ლარს.

4. სააგენტო უფლებამოსილია ამ წესის დარღვევის ფაქტი დააფიქსიროს ფოტო, ვიდეო და სანავიგაციო მოწყობილობების მეშვეობით.

5. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი პირუტყვის პატრონის/მფლობელის დადგენის შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია შეატყობინოს პატრონს/მფლობელს, მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანის ფაქტის შესახებ, ამ ფაქტის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს სამი კალენდარული დღისა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 13 სექტემბრის დადგენილება №24-65 - ვებგვერდი, 14.09.2016 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3-14 - ვებგვერდი, 01.03.2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის დადგენილება №10-41 - ვებგვერდი, 23.05.2017 წ.

მუხლი 4. პირუტყვის დაბრუნების წესი

1. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იდენტიფიცირებული (ნიშანდებული) პირუტყვი მესაკუთრეს დაუბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ პირი სააგენტოს წარუდგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სურსათის ეროვნული სააგენტო) მიერ გაცემულ ცნობას, შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე პირუტყვის შესახებ.
2. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი, არაიდენტიფიცირებული პირუტყვი მესაკუთრეს დაუბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ პირი წარადგენს სააგენტოში 3 მოქალაქის მიერ ხელმოწერით დადასტურებულ და სანოტარო წესით დამოწმებულ ხელწერილს, რომ სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი პირუტყვი წარმოადგენს მის საკუთრებას. არაიდენტიფიცირებული პირუტყვის შესახებ მონაცემები სააგენტოს მიერ ეგზავნება სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

3. მესაკუთრისთვის/მისი წარმომადგენლისთვის პირუტყვის დაბრუნების შესახებ შედგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს სააგენტოს უფლებამოსილი პირი და პირუტყვის მესაკუთრე/მისი წარმომადგენელი. მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს პირუტყვის ფოტოსურათი.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის წარმომდგენს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 13 სექტემბრის დადგენილება №24-65 - ვებგვერდი, 14.09.2016 წ.

მუხლი 5. სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი პირუტყვის რეალიზების წესი

1. იმ შემთხვევაში, თუ 30 დღის ვადაში პირუტყვის მესაკუთრე/მფლობელი არ მიმართავს სააგენტოს სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი პირუტყვის დაბრუნების მიზნით და არ აანაზღაურებს პირუტყვის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯებს, პირუტყვის რეალიზება განხორციელდება ელექტრონული აუქციონის (შემდგომში – აუქციონი) ფორმით, შემდეგი წესით:
ა) პირუტყვის რეალიზაციასა და აუქციონის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს ხელმძღვანელი;

ბ) აუქციონის ფორმით პირუტყვის რეალიზაციას მოახდენს სააგენტო, სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ გვერდზე www.eauction.ge;

გ) აუქციონის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, სააგენტო ოფიციალურ გვერდზე www.animalsmonitoring.ge აქვეყნებს განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

გ.ა) აუქციონის დაწყების და დასრულების თარიღს;

გ.ბ) სარეალიზაციო პირუტყვის სახეობას, რაოდენობას, მოკლე აღწერას;

გ.გ) პირუტყვის საწყის სარეალიზაციო ღირებულებას;

გ.დ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობას;

გ.ე) ბიჯის სიდიდეს;

გ.ვ) საჭიროების შემთხვევაში აუქციონის ჩატარების სხვა პირობებს.

დ) იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია ცხოველის მესაკუთრე/მფლობელი, სააგენტო ვალდებულია რეალიზაციას დაქვემდებარებული პირუტყვის მესაკუთრეს/მფლობელს, აუქციონის დაწყებამდე 3 დღით ადრე წერილობით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით შეატყობინოს ელექტრონული აუქციონის დაწყების დრო;

ე) სააგენტო ვალდებულია აუქციონის გამოცხადებამდე მოიკვლიოს პირუტყვის საბაზრო ფასი და საწყისი სარეალიზაციო ღირებულება განსაზღვროს ბაზრის კვლევით დადგენილი ოდენობის შესაბამისად;

ვ) აუქციონის დაწყების და დასრულების დროდ განისაზღვრება მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 45 კალენდარული დღე.

ზ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ების თანხის ოდენობა უნდა შეადგენდეს პირუტყვის საწყისი სარეალიზაციო ღირებულების არანაკლებ 10 %-ს და არაუმეტეს 80 %-ისა;

თ) ბიჯის ოდენობა განისაზღვრება პირუტყვის საწყისი ღირებულების 5 %-ით;

ი) თუ აუქციონზე პირველად გატანისას არ განხორციელდება პირუტყვის რეალიზაცია, სააგენტოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას საწყისი სარეალიზაციო ღირებულების 25%-ით შემცირების თაობაზე;

კ) თუ ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განხორციელდა პირუტყვის რეალიზაცია, სააგენტოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას პირუტყვის საწყისი სარეალიზაციო ღირებულების 50 %-ით შემცირების თაობაზე;

ლ) თუ ამ პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განხორციელდა პირუტყვის რეალიზაცია, სააგენტოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას პირუტყვის საწყისი სარეალიზაციო ღირებულების 70 %-ით შემცირების თაობაზე;

მ) თუ ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განხორციელდა პირუტყვის რეალიზაცია, სააგენტოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას პირუტყვის საწყისი სარეალიზაციო ღირებულების 70%-ზე მეტად შემცირებული ფასით რეალიზაციის თაობაზე.

2. დაჯარიმების თაობაზე გამოცემული აქტის გასაჩივრება არ ათავისუფლებს პირს 30 დღის ვადაში პირუტყვის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურებისგან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის დადგენილება №10-41 - ვებგვერდი, 23.05.2017 წ.

მუხლი 6. წესის მოქმედება

აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება როგორც პირუტყვის მესაკუთრეზე, ასევე იმ პირზე,

რომელიც ჩადის სამართალდარღვევას, იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის დადგენილება №30-69 - ვებგვერდი, 25.09.2023 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა და/ან წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესი

დანართი 2